ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№16

ქ. თბილისი; 6 მარტი, 2018 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეები - მაკა ნასრაშვილი/ზაზა ცინაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ ჩივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მალხაზ ჭამპურიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსი - **თამარ მათიაშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. “ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენისათვის“ (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით,

თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. N18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „შპს „გუდაური სქი რესორტის (ს/კ: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.
მოისმინეს:

1. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის (პ/ნ: 01015016318) უფლებამოსილების შეჩერების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს (მაჟორიტარ დეპუტატს) - თემურ გორგაძეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამრთლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული დასტურდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო

მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ რამაზ ლიპარტიას 2018 წლის 5 მარტის წერილით, რასაც თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე თემურ გოგოხიას 2018 წლის 2 მარტის №10ა/854 განჩინება. ხოლო, ხსენებული წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიმართ გამოტანილ იქნა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე 2018 წლის 2 მარტის №10ა/854 განჩინება, რომლის თანახმადაც, საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიაჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე ცნობის სახით უნდა მიიღოს და საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თემურ გორგაძის (პ/ნ: 01015016318) უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე საკითხი, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახედ ხსენებული პირის მიმართ პატიმრობის შეფარდების იმპერატიულად თანმდევი შედეგი.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ზაზა ცინაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა **ზაზა ცინაძემ** განმარტა, რომ ბიბლიოთეკების გაერთიანების მიზანია ყველა ასაკის მკითხველისთვის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევა, მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა, საბიბლიოთეკო ფონდებისა და რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება, პროფილის ფარგლებში ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, დამუშავება და გამოცემა, სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებებთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ თანამშრომლობა.

ქალბატონმა **მაკა ნასრაშვილმა** განმარტა, რომ ბიბლიოთეკები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი თქმით, წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია 1986 წლის შემდგომ არ განხორციელებულა და ბოლო მონაცემებით ბიბლიოთეკებში არსებული წიგნების რაოდენობა შეადგენდა 3 მილიონ ნახევარს. ასევე, აღნიშნა, რომ სამსახურმა 2015 წელს

დაიწყო წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია და აღნიშნული ინვენტარიზაციის ფარგლებში 3 მილიონ ნახევარი წიგნიდან ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა მხოლოდ 700 ათასი წიგნი.

ქალბატონი მაკას თქმით, უნიკალური წიგნადი ფონდი არის დაკარგული, ამასთან, პროკურატურის მიერ დაწყებული ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ 100 (ასი) გარდაცვლილი პირი ირიცხებოდა დასაქმებულთა სიაში. ხოლო, ბიბლიოთეკებში ფიქსირდებოდა უკანონო შესახლებები.

ქალბატონი მაკას თქმით, დღეის მდგომარეობით ორი მთავარი ბიბლიოთეკა გარემონტდა. ასევე, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „ტექნოფონდთან" ერთად მოპოვებულ იქნა კორეული გრანტი, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა „IT-Lab", რაც ქალბატონი მაკას აზრით, დიდი წარმატებაა.

მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკების ძირითადი ნაწილი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულებზე. არცერთი დამოუკიდებელი შენობა არ არსებობს. ამასთან, შენობების დიდი ნაწილი არის ამორტიზებული და იმდენად ავარიული, რომ შესაბამისი ექსპერტიზის გარეშე, მხოლოდ პირველი სართულის შეკეთება აზრს მოკლებულია. შესაბამისად, ქალბატონი მაკას თქმით, აღნიშნული საკითხის შესწავლას გარკვეული ეტაპები სჭირდება.

ქალბატონმა მაკამ დასძინა, რომ ათივე რაიონში ჩატარდება კვლევა მოსახლეობის საჭიროების თაობაზე და ამ საჭიროებებისა და ინფრასტრუქტურის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით დაიწყება ეტაპობრივი სქემის შემუშავება ბიბლიოთეკების განსავითარებლად.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, სულ რამდენი ბიბლიოთეკაა თბილისის მასშტაბითა და თითოეულ რაიონში. ასევე, დაინტერესდა იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებებიც.

ქალბატონმა **მაკა ნასრაშვილმა** კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზოგიერთ რაიონში საერთოდ არ არსებობს ბიბლიოთეკა. მაგ: ისანი, სამგორი. ასევე, დასძინა, რომ კვლევის საფუძველზე დადგინდება, თითოეულ რაიონში რამდენი ბიბლიოთეკა განთავსდება. მისი თქმით, საკადრო ცვლილება ამ ეტაპზე არ განხორციელებულა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში ცვლილებების განხორციელება განპირობებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ჩამოყალიბებით, კერძოდ, ქალბატონი მაკას თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილების დანართებით დამტკიცებულ წესებში ხდება ახალი გაერთიანებული სამსახურის სახელის მითითება.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიიჩნევს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ზაზა ცინაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ზაზამ განმარტა, რომ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ითვალისწინებს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები", „შემოქმედებითი თბილისი" და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა" განხორციელების წესის დამტკიცებას დადგენილების პროექტის დანართი 1-ის შესაბამისად. ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა", „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა", „სპორტული ღონისძიებები", „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" განხორციელების წესის დამტკიცებას დადგენილების პროექტის დანართი 2-ის შესაბამისად.

ბატონი ზაზას თქმით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილება და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განოხრციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილება.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ დასძინა, რომ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესები" განსაზღვრავს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების: „კულტურის ღონისძიებები", „შემოქმედებითი თბილისი", „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა" „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა". ასევე, ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა", „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა", „სპორტული ღონისძიებები", „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

მომხსენებლის თქმით, აღნიშნული წესის განმახორციელებელნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიები, რომლებიც განიხილავენ სამსახურში შემოსულ განცხადებებს და დადებითი შეფასების შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ, თუ საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 ლარს. ხოლო, თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 20 000 ლარს, პროექტი დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განსახილველად წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-3 მუხლში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე."

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიიჩნევს, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით დასამტკიცებელი წესის მე-4 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საპროექტო განაცხადის განხილვისა და დაფინანსების პირობებს, განხორციელდეს ცვლილება და აღნიშნული მუხლის მე-6, მე-7 და 12-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 (ოცი ათას) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი.

12. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს."

აღნიშნულიდან გამოდინარე, ბატონი ლევანის თქმით, ცვლილება უნდა განხორციელდეს ასევე დანართი 1-ით წარმოდგენილი წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება."

ასევე, სხდომის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის, პირველი მუხლში უნდა გასწორდეს შემდეგი სახის ტექნიკური ხასიათის ხარვეზები:

- პირველი მუხლის მე-3 პუნქტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 08 06 01 კოდით გათვალისწინებული ქვეპროგრამა, ნაცვლად სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისა (კოდი 08 06 01), უნდა მიეთითოს როგორც „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01)."
- პირველი მუხლის მე-6 პუნქტში, კი მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ნაცვლად, უნდა მიეთითოს ახალი გაერთიანებული სამსახურის

სახელი -„მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური“.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 (ოცი ათას) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.“

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ნაცვლად, უნდა მიეთითოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კომისიის სხდომაზე **საკითხის წარმდგენმა** მიზანშეწონილად მიიჩნია, ცვლილების განხორციელება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით დასამტკიცებელი წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და მისი ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ღონისძიებების დაფინანსებაზე.“

საკითხის წარმდგენმა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, ცვლილებების განხორციელება წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი წესის შემდეგ მუხლებში:

პირველი მუხლის მე-5 პუნქტში - ზოგადად იურიდიული პირების მითითება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ნაცვლად.

მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული და ახალგაზრდული ცენტრები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, უმაღლესი საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.“

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში - 20 კალენდარული დღის მითითება, 20 სამუშაო დღის ნაცვლად.
მე-3 მუხლისათვის შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტის დამატება:

„9. ევროპის მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატებში პრიზიორების დაჯილდოების დროს და სპორტული ფედერაციებისათვის სპორტული ინვენტარის და გუნდების ეკიპირების დაფინანსების დროს, არ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

აგრეთვე, სპორტის შესაბამისი ფედერაციების წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრას სამსახურის უფროსი.

მე-7 მუხლი ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ხელშეკრულების დადება

1. სამსახურსა და პროექტის წარმომდგენ იურიდიულ პირს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
3.ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.“

მე-8 მუხლის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„8. ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და პროექტის შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური.“

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია დაეთანხმა საკითხის წარმდგენის მოთხოვნას, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით და დანართი 2-ით დასამტკიცებელ წესებში, ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით მტკიცდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი და „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულება. ასევე, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N19-55 დადგენილება.

ქალბატონმა მარიამ ჩივაძემ აღნიშნა, რომ მოქმედ წესთან მიმართებით შეიცვალა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა. მისი თქმით, ქვეპროგრამის მიმწოდებელი მიმართვების ადმინისტრირების მოდულის მეშვეობით, ელექტრონული პროგრამის საშუალებით ან მოსარგებლე პირი/მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით წარადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დაფინანსების საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაციას, ასევე, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისია“ არ განიხილავს სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტის დაფინანსების თაობაზე განცხადებას თუ, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტით მოთხოვნილი თანხის ღირებულება არ აღემატება 1000 (ათას) ლარს, ვინაიდან 1000 (ათას) ლარს ქვემოთ დაფინანსების საკითხს განიხილავს შესაბამისი რაიონის გამგეობა.

საკითხის წარმდგენის განმარტებით, წარმოდგენილი დებულების პროექტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ კომპეტენციას განეკუთვნება დადგენილების პროექტის პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესით“ გათვალისწინებული მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება სამედიცინო საჭიროების დაფინანსების, სოციალური დახმარების გაცემისა და სხვა სერვისების მიღებისათვის ფინანსური დახმარების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი დებულების პროექტით მტკიცდება კომისიის ხელმძღვანელობა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ქალბატონმა მარიამმა დასძინა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, წესში გათვალისწინებულია თუ არა ბენეფიციარის მიერ შემოსავლების სამსახურიდან წარმოსადგენი ცნობა და ასევე, აღნიშნული საბუთის გამოტანაზე უფლებამოსილი პირი.

ქალბატონმა **მარიამ ჩივაძემ** აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ეტაპისათვის წარმოდგენილი წესით არ არის გათვალისწინებული, თუმცა მისი თქმით, გამგეობა აწარმოებს გარკვეულ მოლაპარაკებებს, რათა ელექტრონული ფორმით, „ონლაინ რეჟიმში“ გამგეობას პირდაპირ მიეცეს წვდომის უფლება შესაბამის საბუთზე.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მითითებული დადგენილების ამოქმედების თარიღი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე."

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან, დადგენილებით დასამტკიცებელ წესსა და დებულებაში მითითებული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, საჭიროა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტად განსაზღვრულ იქნეს არა კომისია, არამედ დარგობრივი საქალაქო სამსახურის უფროსი ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

შესაბამისად,

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ით დასამტკიცებელი წესის მე-4 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურებს, უნდა განხორციელდეს ცვლილება და ხსენებული მუხლის მე-2, მე-3, მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური საჭიროების დაფინანსების თაობაზე მოსარგებლე პირის მოთხოვნას განიხილავს „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისია" (შემდგომში - კომისია) და რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, რომელიც დაფინანსების თაობაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური საჭიროების დაფინანსების თაობაზე სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღემატება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

5. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსება ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

ასევე, ბატონი ლევანის თქმით, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „დ" და „ე. გ" ქვეპუნქტები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პირი ითხოვს გამოყოფილი თანხის გაზრდას იმ მოთხოვნაზე, რომელზეც უკვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება;"

„ე. გ) იმ შემთხვევისა, როცა დასტურდება, რომ პირის მიერ წარმოდგენილ ბოლო დაფინანსების მოთხოვნაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემდგომ პირმა წარმოადგინა წინა მოთხოვნისაგან განსხვავებული მომსახურების/საჭიროების შესახებ დაფინანსების მოთხოვნა."

გარდა ამისა, წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-7 მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 6.

4. სამსახურის უფროსს უფლება აქვს მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

მუხლი 7.

4. შესრულებული სამუშაოს შესაბამისი თანხის ანაზღაურება მოხდება სამედიცინო დაწესებულების ან სხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ინფორმაციის საფუძველზე, რომლის ინსპექტირების შემდგომ ხორციელდება მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის სამსახურის მიერ წერილის მომზადება, მიმწოდებლისათვის თანხის ჩარიცხვის მოთხოვნით.

5. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/ნ: 406153111) ბენეფიციარების დაფინანსება განხორციელდება მიწოდებული მომსახურების/საჭიროების შესახებ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლის მხრიდან მოხდება გამოყოფილი თანხის წინასწარი გადახდა, აღნიშნული თანხა აღარ ექვემდებარება ანაზღაურებას/დაფინანსებას.

7. საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში თანხის გადარიცხვა ხორციელდება წინასწარ წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ით დასამტკიცებელი დებულების მე-2 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კომისიის კომპეტენცია

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესით“ (დანართი 1) გათვალისწინებული მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა სამედიცინო საჭიროების დაფინანსების, სოციალური დახმარების გაცემისა და სხვა სერვისების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე ფინანსური დახმარების შესახებ.“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონმა **მარიამ ჩივაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი N4) მე-7 მუხლში ცვლილებების განხორციელებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, აღნიშნულ ქვეპროგრამას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამისათვის“ დადგენილი ღირებულებების შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოხდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების ღირებულებების მუხლის დაკორექტირება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

საკითხის წარმდგენმა ითხოვა, ცვლილებების განხორციელება, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (დანართი N1). კერძოდ, საკითხის წარმდგენმა მოითხოვა აღნიშნული წესის:

- მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება შემდეგი სახით:

„2. ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი. “

- მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისათვის შემდეგი შინაარსის „2[1]“ პუნქტის დამატება:

„2[1]. ქვეპროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ. შ. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი).”

- მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება შემდეგი სახით:

„გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე. დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად უნდა ჰქონდეს მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება.“

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია და დაეთანხმა საკითხის წარმდგენის მოთხოვნას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (დანართი N1) ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების/წინადადებების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მალხაზ ჭამპურიძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გრანტის სახით გამოყოფილ 490 000 (ოთხას ოთხმოცდაათი

ათასი) ევროს მიღებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას.

ბატონი **მალხაზ ჭამპურიძის** თქმით, აღნიშნული თანხის ფარგლებში მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავება. მისი თქმით, 2016-2017 წწ-ში უკვე ჩატარდა ტენდერი, სადაც გამოვლენილ იქნა გამარჯვებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად და განსახორციელებლად დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები **300 000 (სამასი ათასი)** ევროს ოდენობით. ბატონი მალხაზის თქმით, პროექტი ხორციელდება თანადაფინანსებით და მისი მთლიანი ღირებულება შეადგენს **790 000 (შვიდას ოთხმოცდაათი ათასი) ევროს.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქალბატონმა **ქეთევან მამულაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, აღნიშნული პროექტი გავრცელდება ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე, თუ, მხოლოდ ახალ ავტობუსებზე. სამგორის რაიონის მაჟორიტარი ასევე დაინტერესდა, რა ვადებში განხორციელდება პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კონტრაქტი არის 15 (თხუთმეტი) თვიანი. ბატონი მალხაზის თქმით, ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე მგზავრთა ნაკადი იქნება შესწავლილი. შესაბამის კომპანიებს ვალდებულება აქვთ აღებული, ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში დამონტაჟებული კამერების მეშვეობით დაითვალონ მგზავრთა ნაკადი და შედეგების საფუძველზე შექმნან ახალი სამარშრუტო სქემა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **მე-100 მუხლის მე-5 პუნქტი,** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის ნებართვით, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი. გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობას შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. საქართველოს მთავრობის ნებართვა საჭირო არ არის, თუ გრანტის მიმღებია თბილისი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ **წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ **წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონი თამარის თქმით, შესაბამის კორპუსში მცხოვრები პირები ძირითადად არიან უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები, რომლებიც 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობენ ხსენებულ ფართებს.

თამარ მათიაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ხსენებული პირებისთვის უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიიჩნევს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის „დ. ა" ქვეპუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია მთავრობის უფლებამოსილებები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე არსებული თარგის მიერ დაკავებული 345 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.092) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გარდენიასთვის" (ს/ნ: 205222025) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს არის ძალიან ლამაზი და სასარგებლო პროექტი. მისი თქმით, შპს „გარდენია" მარჯანიშვილის მოედანზე, მეტროს წინ არსებულ ტერიტორიაზე, 1 წლის მანძილზე, თხოვების უფლებით, დარგავს მცენარეებს და ხსენებული მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობასაც თავად განახორციელებს.

ქალბატონმა **თამარ მათიაშვილმა** აღნიშნა, რომ ხსენებული ტერიტორიის მორწყვას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, ხოლო აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს უშუალოდ შპს "თბილსერვის ჯგუფი".

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა რეკლამის განთავსების უფლება ექნება თუ არა შპს „გარდენიას".

ქალბატონმა **თამარ მათიაშვილმა** უპასუხა აღნიშნულ კითხვას და აღნიშნა, რომ რეკლამის განთავსებისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვა და შესაბამისად, ხსენებული ნებართვის გარეშე კომპანიას არ ექნება სარეკლამო ბანერის განთავსების უფლება.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ იმ შემთხვევაში თუ, კიდევ იქნება მსგავსი საინტერესო შემოთავაზებები, სააგენტო ყოველთვის დაუჭერს მხარს.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოსაზრებით, ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შპს „გარდენია"-სთვის 1 (ერთი) წლის ვადით უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მიზნით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტად განისაზღვროს უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადა. ხოლო, შესაბამისად, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ. N18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.18.679) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N18ბ-ს მიმდებარედ არსებული 16 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, ამხანაგობისათვის „ფიჭვები“ სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, აღნიშნულ ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელისათვის გათვალისწინებული სატუმბი სადგურის განთავსების მიზნით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტი შეთანხმებულია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-თან და მიღწეულია ყველა შეთანხმება არსებული პროექტის განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118^1 მუხლის მე-3 პუნქტი.
- ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოსაზრებით, ვინაიდან, დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა ხდება სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, სასურველია, აღნიშნული მითითებულ იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - თამარ მათიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „შპს „გუდაური სქი რესორტის (ს/კ: 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებას და ასევე, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული გეგმა - გრაფიკის მე-3 პუნქტის დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ გათავისუფლების საკითხს.

თამარ მათიაშვილმა განმარტა, რომ 2011 წლის 12 ივლისს შპს „გუდაური სქი რესორტს“ გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით უძრავი ქონება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. ხოლო, ამის სანაცვლოდ შპს-მ მუნიციპალიტეტს გადმოსცა შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაბა გუდაურში. კომპანიას ვალდებულებად განესაზღვრა 5 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება გარკვეული დროის მონაკვეთში.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ შპს-მ ვადის ამოწურვამდე მიმართა მუნიციპალიტეტს და ითხოვა ვადის გადაწევა, ვინაიდან არსებობდა პროექტირებასთან დაკავშირებული პრობლემები. მუნიციპალიტეტმა განიხილა ეს წინადადება, მოხდა ვადის გადაწევა 2018 წლის 31 აგვისტომდე და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების გეგმა-გრაფიკი. ხოლო, აღნიშნული 5 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია გადანაწილდა კონკრეტულ პროექტებზე.

ქალბატონი თამარის თქმით, ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროექტი ეხება ერთი კონკრეტული საინვესტიციო ვალდებულების ვადის გადაწევას. საბოლოო ჯამში კი, არ იცვლება შესრულების ვადა და ინვესტიციის მოცულობა. შესაბამისად, არსებული დანაკლისი 257 000 ლარის ოდენობით გადანაწილდა მომდევნო შესრულების ვადებზე.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ირაკლი თავართქილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ კომპანიას 2017 წლის ბოლოს უნდა დაესრულებინა სატრენაჟორო დარბაზის მშენებლობა. შპს „გუდაური სქი რესორტი“-იმ აღნიშნული ვალდებულება შეასრულა, შესაბამისად,

დარბაზის მშენებლობაც დასრულდა, არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაც, უბრალოდ, დასახული მიზნის მიღწევას უფრო ნაკლები თანხები დასჭირდა, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დასძინა, რომ ინვესტიციის განმახორციელებელი პროექტისთვის განსაზღვრულ ბიუჯეტს არ შეამცირებს და არსებული პროექტიდან დარჩენილ თანხას სხვა პროექტზე გადაანაწილებს.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ:204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი რომლის თანახმად,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს წარდგენილ მიმართვას და, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, პირდაპირი განკარგვის საფუძველზე პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ წინადადებას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა **თამარ მათიაშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N5-ში მდებარე უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებული მოქალაქეებისათვის საკუთრებაში **სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ** გადაცემას, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხისა, მოცემულ შემთხვევაშიც ხანგრძლივი სარგებლობის ფაქტი დადასტურებულია. მისი თქმით, ხსენებული კორპუსი არის ბაგების სტუდქალაქის N5 კორპუსი, რომელიც გადაეცემა 38 ოჯახს და გადასაცემი ქონება ჯამში შეადგენს 937 კვ. მ.-ს.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილებით ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N5-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა - **თამარ მათიაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 26 კვ. მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.28.861) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ხსენებული გადაცემა ხორციელდება ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელისათვის გათვალისწინებული სატუმბი სადგურის განთავსების მიზნით.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ხსენებული სატუმბი სადგურის განთავსებისთვის საჭირო ხარჯებს დააფინანსებს შესაბამისი რაიონის გამგეობა.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა ჩაემატოს შემდეგი სიტყვები **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.**

ბატონი **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. ხოლო, სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმების შედეგად სსიპ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გარკვეული უფლებამოსილებანი გადმოეცემა ახლადშექმნილ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი და თანაბარი ურბანული განვითარების უზრუნველყოფა, ინტეგრირებული, ინკლუზიური და უსაფრთხო საქალაქო გარემოს ფორმირება.

ბატონი სერგოს თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლეობის განსაზღვრის საკითხი.

შესაბამისად, ბატონი სერგოს განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, მიმდინარე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით უფლებამონაცვლედ განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, ვინ იქნება ხსენებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ზოგადი ხასიათისაა და შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მთავრობის აქტით განსაზღვრავს უფლებამოსილ სუბიექტს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე